დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება

განკარგულება:**g-109. 109253588**
თარიღი:**24/12/2025**

დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ქონების (მიწის ნაკვეთი და შენობა-ნაგებობა) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' 61-ე მუხლის მე-2-ე პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-5-ე პუნქტისა და დმანისის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 09 დეკემბრის N 108-1082534351 წერილის საფუძველზე, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. მიეცეს თანხმობა დმანისის მუნიციპალიტეტის მერს, გადასცეს უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, დმანისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. დმანისში, 26 მაისის ქუჩაზე მდებარე არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი 706.00 კვ.მ. და მასზე დამაგრებული შენობა-ნაგებობა N1; N2 (საკადასტრო კოდი 82.01.43.866) უსასყიდლოდ (უზუფრუქტის ფორმით) დმანისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ ააიპ „ომარ მუმლაძის სახელობის დმანისის სპორტულ სკოლა“-ს (ს.კ. 228928364) მისი არსებობის ვადით.

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბოლნისი, სულხან საბას ქ. N113).

პაატა ყულიაშვილი

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი